645/
1957/2
ეროვნული
ბიბლიოთეკა
645/2
50




# საბჭოთა ქალი

№ 1 სექტემბერი 1957





ამ გვერდზე თქვენ ხედავთ მომღიმარე ქალიშვილს, მეჩაიე ციური თავაძეს თავის მასწავლებელთან, სოციალისტური შრომის გმი[illegible] დარეჯან ტაკიძესთან ერ[illegible]დ. დიდი ხანი არ არის, რაც ციური საშუალო სკოლიდან მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მოვიდა, მაგრამ შრომაში უკვე გამოიჩინა თავი. დარეჯან ტაკიძის თქმისა არ იყოს, ვინ იცის, იქნებ მალე თავის მასწავლებელსაც გაუსწროს!

იღიმება მიამიტად, თან კეკლუცადაც და ამ ღიმილით მიდის ჩაის ბუჩქთან ციური, თავს დახრის ქორფა ყლორტებზე და წაჩურჩულებს:

— ხომ არაფერი გაწუხებთ, კარგებო? ისე მოგივლით, როგორც თვალისჩინს.

და ბუჩქებიც ნდობით უხსნიან გულმკერდს, თითქოს სჯერათ ქალიშვილის ნათქვამი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნომერში


ჩვენი ჟურნალი.

გზა მშვიდობისა—ჰისალმებაჰი.

მშვიდობის სადარაჯოზე.

სტუმრების თვალით.

ნევის ნაპირას—მოგონება.

უცნობი ქალის პორტრეტი—ლექსი.

საბჭოთა ქალს—ლექსი.

თხილის ნაჭუჭები—მოთხრობა.

შეხვედრა—მოთხრობა.

მინიატურები.

...სადაც ცრემლი სდიოდა მიწას—ნარკვევი.

მოდები.

კოსმეტიკა.

დავამშვენოთ ჩვენი სუფრა.

რა უნდა იცოდეს დიასახლისმა.


7403



კომპოზიცია ბელორუსიის სახალხო მხატვრის ზ. აზგურასი

**გარეკანზე**

პირველი გვერდი— „ბედნიერი დედა“ — ნახატი ა. ვეფხვაძისა.

მეოთხე გვერდი—სოხუმის სანაპირო—ფერადი ფოტო დ. სმირნოვისა.

ჩანართი—ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალი—ფოტომასალები საქდესის ფოტოქრონიკისა.

ფოტოკორესპონდენტები: ო. თურქია, შ. გოქაძე, რ. კეზელი.

ნომერი გააფორმა კ. ყარაშვილმა.

გარეკანი და ჩანართი დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში.


# საბჭოთა ქალი

№ 1
სექტემბერი
1957 წელი

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ილუსტრირებული ჟურნალი.


მარქსის ... ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჩ ვ ე ნ ი ჟ უ რ ნ ა ლ ი

კიდევ ერთი ახალი ჟურნალი—«საბჭოთა ქალი» შეემატა ჩვენს რესპუბლიკას.

18 წლის წინათ შეწყდა ქალთა ჟურნალის გამოცემა საქართველოში, და ბუნებრივია, ცნობამ ჟურნალის კვლავ დაარსების შესახებ საზოგადოებრიობის ღრმა კმაყოფილება და სიხარული გამოიწვია.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მესამე წელს დაარსდა ჟურნალი «ამიერკავკასიის მშრომელი ქალი» მისი პირველი ნომრის მოწინავე სტატიაში ვკითხულობთ: «...სჩანს, ნათლად სჩანს ჩვენი ცხოვრების ერთი მკრთალი სურათი, რომელსაც თავისი ათრთოლებული ხელებით ხატავენ ჩვენი ქართველი ქალები, ამ სურათს არ აელვარებს სხივი გაბედულებისა, მასზედ ჯერ კიდევ არ არის აღბეჭდილი ის სულიერი ძალა, რაც ასე ბევრია ქალის არსებაში... მის გრძნობებში...

შემოქმედება გვესაჭიროება დამპალი ცხოვრების გადასახალისებლად და ახალი ქვეყნის დიადი საფუძვლის შესაქმნელად...

ალმშენებლობის ხმა მოუწოდებს, როგორც ქართველ მშრომელ ქალს, ისე სომეხს, მუსულმანს, რუსს, ფრანგსა და სხვას, მიიღონ მხურვალე მონაწილეობა ამ ისტორიულ ხანაში».

და საქართველოს ქალებიც ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების მშრომელ ქალებთან, მთელ საბჭოთა ქალებთან ერთად, დაძაბული შრომით ანგრევდნენ ძველ, დამყაყებულ სამყაროს, ქმნიდნენ ახალს, თავისუფალი შრომის ქვეყანას—სოციალისტურ სამშობლოს.

ჟურნალ «საბჭოთა ქალის» გამოცემა უდიდესი ზეიმის დღეებს დაემთხვა—მთელი ჩვენი დიადი სამშობლო ემზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის შესახვედრად, იმ ისტორიულ გამარჯვებათა შესაჯამებლად, რაც ჩვენმა ქვეყანამ, ჩვენმა ხალხმა მოიპოვეს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

ამ წარმატებებში უაღრესად დიდია საბჭოთა ქალების, მათ შორის ქართველი ქალების წვლილი.

თავისი ახალი ჟურნალის ფურცლებზე საქართველოს ქალები ამჟამად წაიკითხავენ: «დიაღ, ჩანს, ნათლად ჩანს გამარჯვებული ქვეყნის ბრწყინვალე სურათი, რომელსაც თავისი მტკიცე და გამრჯე ხელებით ხატავენ ჩვენი ქალები, ამ სურათს აელვარებს სხივი გაბედულებისა, მასზე აღბეჭდილია ის სულიერი ძალა და სილამაზე, რითაც ესოდენ მდიდარია საბჭოთა ქალის არსება“, წაიკითხავენ იმას, თუ როგორ დაამსხვრია ქალმა ნამდვილი შემოქმედებითი შრომით ძველი, დახავსებული ცხოვრება, თავისი უუფლებობა, შექმნა ახალი, თავისუფალი და ბედნიერი მომავლის დიადი და მტკიცე საფუძველი.

ჟურნალი «საბჭოთა ქალი» მკითხველს გააცნობს როგორც ჩვენი რესპუბლიკის, ისე მოძმე რესპუბლიკების ქალთა შრომითს მიღწევებს, მათს აქტიურ მონაწილეობას სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში, დიდი ჩინეთისა და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნების ქალთა როლს ახალი ცხოვრების შენების საქმეში. ჟურნალი გააშუქებს ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის მოღვაწეობას დედათა და ბავშვთა დაცვისა და ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის.

ჟურნალი მიზნად ისახავს დაეხმაროს დედებს წერილებით, კონსულტაციებით ბავშვთა მოვლა-აღზრდის, გემრიელი კერძების მომზადების, საოჯახო შრომის შემსუბუქების საკითხებზე, სისტემატურად დაბეჭდავს ქალთა და ბავშვთა ტანსაცმლის ახალ-ახალ ნიმუშებს.

ჟურნალის წინაშე დიდი და სერიოზული ამოცანებია დასახული. დარწმუნებული ვართ, რესპუბლიკის მოწინავე ქალთა გულითადი, აქტიური დახმარება—მათი წერილები, წინადადებანი, კრიტიკული შენიშვნები ხელს შეუწყობს სარედაქციო კოლეგიას უფრო საინტერესო გახადოს ჩვენი ჟურნალი.



ყოველთვიური ჟურნალის „საბჭოთა ქალის“ დაარსება ჩვენი წინსვლის კიდევ ერთი მაჩვენებელია.

ვუსურვებ ჟურნალს ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას, რომ მას ქმედითი დახმარება გაეწიოს სკოლისა და ოჯახისათვის ჩვენი ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში.

გვწამს, რომ ეს ჟურნალი საქართველოს ქალების, მთელი საზოგადოებრიობის საყვარელი ორგანო გახდება.

**მ. ბურჭულაძე,**
საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

## გ ზ ა

ჩვენი სურვილი: ახალი ჟურნალი ღრმად ახახავდეს ჩვენი ქალების ცხოვრებასა და მოღვაწეობას, უნერგავდეს ჩვენს ახალგაზრდა ქალებს მეცნიერების სიყვარულს, შრომისადმი პატივისცემას, რადგან უამისოდ წარმოუდგენელია წინსვლა.

**ნინო ციციშვილი,**
სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.





მე, უკვე ხანდაზმულს, მაცოცხლებს ჩვენი ახალგაზრდობის წინსვლა და წარმატებანი, გულს მიხარებს ჩვენი ლამაზი ცხოვრება, ეს დიდებული გაზაფხული ჩვენი ქვეყნისა, რაც უდიდესი მსხვერპლის ნაყოფია.

ჩემი წადილია ახალმა ჟურნალმა გააცნოს ჩვენს ახალგაზრდობას მათი დედების—რევოლუციონერ ქალთა გმირული წარსული, მათი ბრძოლა შვილების ბედნიერებისათვის, უკეთესი მომავლისათვის.

**ნინო ალაჯალოვა,**
ძველი რევოლუციონერი, სკკპ წევრი 1902 წლიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა







მე მინდა ჩვენმა ახალმა ჟურნალმა ადგილი დაუთმოს მსახიობ ქალთა მოღვაწეობას, გააცნოს იგი ჩვენს კარგ ახალგაზრდობას, რომ მისი საქმიანობა და ცხოვრება კიდევ უფრო გაამშვენიეროს ხელოვნებისადმი ტრფიალებამ.

გზა მშვიდობისა ჩვენს ჟურნალს!

ვერიკო ანჯაფარიძე,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი,
სტალინური პრემიის ლაურეატი.

ხშირად, როცა ჩაის პლანტაციიდან შინ ვბრუნდები და ვისვენებ, მინდა ჩემი ფიქრები გავუზიარო ჩვენს ქალებს — უცნობსა და ნაცნობს, მათ, ვინც მეცნიერებას შეჭიდებია და დიდ საქმეს აკეთებს, ვინც ვაჟკაცებთან ერთად ფოლადს აწრთობს რუსთავში, ვისაც ლამაზი ლექსები შეუთხზავს და ჩვენი გულის სათქმელი უმღერია. სიამოვნებით მოვისმენდი მათ ნათქვამსაც. მჯერა, რომ ჩვენს კავშირს ეს ახალი ჟურნალი კიდევ უფრო გააღრმავებს და გააფართოებს.

ტატიანა ჩხაიძე,
კოლმეურნე, სოციალისტური შრომის გმირი.

# მშვიდობისა

ჩვენს ახალგაზრდობას მშვიდობიანი ცხოვრება და შემოქმედებითი შრომა სწადია. არ გვინდა ცრემლებმა თვალები ამოუშრიტოს ჩვენს საყვარელ დედებს.

ჩემი სურვილია ახალმა ჟურნალმა თავის ფურცლებზე ალბეჭდოს მშვიდობისათვის ყველა ქვეყნის ქალთა და ახალგაზრდობის ენერგიული ბრძოლა, მოუთხროს მკითხველებს იმ დიად მეგობრობაზე, რომელიც აკავშირებს სხვადასხვა ქვეყნის, სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს.

ნათელა ვახაძე,
საქართველოს ალკკ ცენტრალური
კომიტეტის მდივანი.

თბილისი ჩემი მეორე სამშობლოა, ჩვენი კომბინატი კი — მეორე ოჯახი. ბევრი ახლობელი და მეგობარი შევიძინე აქ, მათთან ერთად საქართველოში ქალთა ჟურნალის დაარსებამ მეც გამახარა, იგი გაგვაცნობს საწარმოთა მოწინავე ქალების შრომასა და ცხოვრებას, მოგვითხრობს იმ მეგობრობასა და სიყვარულზე, რომელიც მტკიცედ გვაკავშირებს ერთმანეთთან სხვადასხვა ეროვნების ქალებს.

მარია კოლოდა,
თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის
საწარმოო სწავლების ინსტრუქტორი.





ზაფხულის მშვენიერი დღეა, თბილისში ჩამოცხა. მზე ხშირი სტუმარია ჩემი აივნის. მეც, ღრმად მოხუცებულს მიყვარს მზის პირისპირ ჯდომა და ფიქრი. ეს ჩემი ოთხმოცდამეექვსე ზაფხულია და თვითეულ დღეს თავისი მოგონება ალამაზებს...

იმ დღესაც აივანზე მჯდომი მოგონებებმა გამიტაცეს. უეცრად მყუდროება დაირღვა და ფიქრი გამიწყდა. კიბის საფეხურთან ახალგაზრდა ქალი დგას. ვაკვირდები — უცნობი სახეა, მაგრამ თვალები, ეს მორცხვად ლებული ღიმილი თითქოს ახლობელი და ნაცნობია. ვინ არის ნეტა? იგი მესალმება, მორიდებულად მიხსნის სტუმრობის მიზეზს. მე ეს მალელვებს. ახლა ვხვდები, რად მომეჩვენა მისი თვალები და ღიმილი ასე ნაცნობი. ასეთი თვალებით, ასეთი ღიმილით, ამავე მიზნით მეც ვსტუმრებივარ ოდესღაც სხვებს.

— საქართველოში ქალთა ჟურნალის გამოცემა განახლდა, ხომ გახსოვთ ქალთა ჟურნალი, ადრე რომ გამოდიოდა... ახალი ჟურნალისათვის თქვენი სურვილები მეტად ძვირფასი იქნება, — მეუბნება იგი.

მოუჩხებული გრძნობა ილვიძებს... ვუყვები „ნაკადულზე“, „ჯეჯილზე“... ბევრის თქმა მსურს...

— კარგი მახარობელი ხარ, ჩემო, — ვეუბნები მას, — ეს ვეებერთელა საქმეა. მოგილოცავთ ჟურნალის თანამშრომლებს და გისურვებთ ისე უანგაროდ ემსახუროთ ამ დიდ საქმეს, როგორც თავის დროზე ვემსახურებოდით ჩვენ. ბედნიერი ხართ, თქვენს წინაშე გაშლილია თავისუფლების ფართო და ნათელი გზა, რასაც ჩვენ მოკლებული ვიყავით. ამიტომ თქვენ მეტი უნდა გააკეთოთ, და მეც, თუკი რაიმეს შევძლებ, თქვენთანა ვარ.

თქვენი ნინო ნაკაშიძე,
მწერალი.

# მშვიდობის სადარაჯოზე

ჯერ არასოდეს არ ყოფილა ქალთა პოლიტიკური შეგნება ისეთ მაღალ დონეზე, არასოდეს არ ჰქონია ქალს საკუთარი ძალებისადმი ისეთი ღრმა რწმენა, როგორც ახლა, როცა კაცობრიობა ატომური ომის საფრთხის წინაშე დგას. განსაკუთრებით გაძლიერდა და ფართო გაქანება ჰპოვა მშვიდობისათვის ქალთა საერთაშორისო მოძრაობამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მას შემდეგ, რაც მათ საკუთარი თვალით ნახეს და განიცადეს მილიონობით ბავშვთა და ქალთა წამების შემაძრწუნებელი სურათები. სწორედ ომის პერიოდში უფრო ღრმად შეიგნეს ქალებმა თუ რა აუცილებელია ბრძოლა ხალხთა შორის მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობისათვის, ახალი ომის თავიდან ასაცილებლად, ბავშვებისა და ახალგაზრდობის სიცოცხლის გადასარჩენად.

ამ შეგნებისა და ერთსულოვანი მოძრაობის შედეგი იყო უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა—ქალთა პირველი საერთაშორისო კონგრესის მოწვევა პარიზში, 1945 წელს.

პირველად ისტორიაში მსოფლიოს ყველა კუთხიდან შეიკრიბა სხვადასხვა რასის, ეროვნებისა და რელიგიური რწმენის, სხვადასხვა კლასისა და პოლიტიკური მიმართულების მქონე მოწინავე ქალები, გამსჭვალულნი ერთი საერთო კეთილშობილური მიზნით—შეეკავშირებინათ და დაერაზმათ მთელი ძალები ხალხთა შორის მშვიდობის განსამტკიცებლად, ბავშვთა ბედნიერი მომავლისა და ოჯახების მყუდროების უზრუნველსაყოფად.

კონგრესი უდიდესი აქტივობისა და ერთსულოვნების ვითარებაში ჩატარდა. შეიქმნა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია, დამტკიცდა მისი წესდება და განისაზღვრა მოქმედების მორიგი ამოცანები. 40 ქვეყნის 180 სხვადასხვა ორგანიზაციის დელეგატმა 81 მილიონი ქალის სახელით კონგრესის წინაშე საზეიმო ფიცი დასდო მთელი ძალების დაძაბვით შეუნელებლად იბრძოლონ ფედერაციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

მას შემდეგ 12 წელი გავიდა. ამ პერიოდში ფედერაცია გაძლიერდა და მსოფლიოს ქალთა უდიდეს მაორგანიზებელ ძალად გადაიქცა. იგი ამჟამად თავის რიგებში აერთიანებს 80 ქვეყნის 200 მილიონზე მეტ ქალს.

ფედერაციის ინიციატივით კოპენჰაგენში, 1953 წლის ივნისში მოწვეულ იქნა ქალთა საერთაშორისო კონგრესი, რომელმაც მიიღო ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი-დეკლარაცია ქალთა უფლებების შესახებ. დეკლარაციაში წამოყენებულ კონკრეტულ მოთხოვნილებათა შესრულებისათვის ბრძოლამ ფართო ხასიათი მიიღო და სერიოზული შედეგებიც იქნა მიღწეული. ომის შემდეგ ზოგიერთი ქვეყნის მთავრობები (ბელგია, არგენტინა, ბირმა, საბერძნეთი, ლივანი, ვენესუელა, პორტორიკო და სხვ.) იძულებული შეიქნენ მიენიჭებიათ ქალებისათვის პოლიტიკური უფლებები.

ფედერაცია თანმიმდევრულად ახორციელებს ღონისძიებებს ბავშვთა დასაცავად, მათი ბედნიერი მომავლის უზრუნველსაყოფად. მისი ინიციატივით დაარსდა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე—პირველი ივნისი, რომელიც 1952 წლიდან აღინიშნება ყოველ წელს მსოფლიოს ყველა კუთხეში. ფედერაციის ინიციატივით მოეწყო 1952 წელს ვენაში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო კონფერენცია. ამ კონფერენციაზე კვლავ იქნა მხილებული მილიონობით ბავშვთა აუტანელი პირობები კაპიტალისტურ და კოლონიურ ქვეყნებში. ამასთან კონფერენციამ მოისმინა საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში ბავშვთა და ახალგაზრდობის ბედნიერებისათვის წარმოებული მუშაობის საკითხები. კონფერენციამ ამაღელვებელი მოწოდებით მიმართა მსოფლიოს ყველა კეთილი ნების ადამიანს—გააჩაღონ აქტიური ბრძოლა ბავშვთა ინტერესების დასაცავად, პირველ რიგში მათი მშვიდობიანი ცხოვრების უზრუნველსაყოფად.

# სტუმრების თვალით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასაგებია ის დიდი ინტერესი, რომლითაც უცხოელები საბჭოთა კავშირისაკენ მოისწრაფვიან. მათ სურთ საკუთარი თვალით იხილონ ჩვენი ახალი ცხოვრება, ჩვენი ახალი სინამდვილე. ვის არ იზიდავს ეს თვალუწვდენი ქვეყანა—ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის სამშედლო, ვის არ ხიბლავს მისი წარმატებანი, რომელ მტერს არ დაუყენებს თვალს მისი გამარჯვებანი, და მოდიან სტუმრები, სახელგანთქმული საზოგადო მოღვაწეები, მათ შორის მოწინავე ქალები. ჩვენს ქვეყანას ეწვივნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პაკ დენ აი, მშვიდობისათვის სახელგანთქმული მებრძოლი, ფრანგი მეცნიერი ეჟენი კოტონი, საფრანგეთის სახალხო გმირი რაიმონდა დიენი, ბელგიელი მეცნიერი იზაბელა ბლიუმი, ინდოეთის საზოგადო მოღვაწე ინდირა განდი და მსახიობი ნარგისი, ჩეხი მწერლები მარია მაიეროვა, მარია პუიმანოვა და სხვა მრავალი მეცნიერი, მწერალი, მუშა და გლეხი ქალები.

ვისაც ფეხი დაუდგამს საბჭოთა ქვეყნის მიწა-წყალზე, მცირე გამონაკლისს გარდა, უთუოდ სტუმრებია საქართველოსაც, სტუმრებია და ამაყად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ არავინ დარჩენილა გულგრილი მისი დიდებული დღევანდელობისადმი, მისი გასაოცარი სილამაზისა და სტუმართმოყვარე, ნიჭიერი ხალხისადმი.

მათ შორს, მსოფლიოს ყოველ კუთხეში გაუტანიათ სოციალისტური საქართველოს დიდება და ქება.

ა ი რ ა ს ა მ ბ ო ბ ე ნ ი ს ი ნ ი:

„ქართველები წარმოსადეგი, ლამაზი, თავისუფლისმოყვარე და შავთმიანი ხალხია, ამაყნი, სიმამაცით განთქმულნი. ქართველ ქალთა მიმოხვრა და იერი კი ძველი ბიბლიის ქალებს მაგონებს. გასაოცარი მუსიკალობისა და მხატვრული ტალანტის მქონეა ეს ხალხი, ხოლო სიმღერებში, ცეკვებსა და სამოსელში ძველი ეროვნული მემკვიდრეობა აქ გაცილებით მეტად არის შემონახული, ვიდრე ჩვენთან, ფინეთში.

ოდესღაც ეიფელის კოშკიდან მინახავს საღამოს შუქით განათებული პარიზი, მაგრამ თბილისი ფუნიკულიორის პლატოდან უფრო ღრმა შთაბეჭდილების მომხდენია. იგი რაღაც უფრო ქალწულებრივი და სპეტაკია... თითქოს ვარსკვლავები ღამის გასათევად ძირს ჩამოსულანო".

რაილი კილპი,
ფინელი ჟურნალისტი ქალი.

„ჩემთვის დანიიდან ასე შორს—საქართველოში ყოფნა არის ნამდვილი ზღაპარი, რომელზეც მე არასოდეს არ მიოცნებია.

და აი, ჩვენ ჩამოვედით, ვსარგებლობთ თქვენი დიდი სტუმართმოყვარეობით, ვგრძნობთ თქვენს ყურადღებას... სიამოვნებით ვათვალიერებთ თქვენს ტრიკოტაჟის კომბინატს, ბავშვთა დაწესებულებებს, ვიკრიბებით თქვენი კლუბის დარბაზში. ვხედავთ როგორ შრომობთ, როგორ ცხოვრობენ თქვენი ბავშვები, როგორ ისვენებთ.

თქვენი ყურადღებისათვის ღრმა მადლობას გიძღვნით. მთელი გულით მსურს ქართველ და დანიის ხალხთა მეგობრობა კიდევ უფრო გაიშალოს და განმტკიცდეს".

**ტიურა ვიტრუპი,**
გლეხი ქალი დანიიდან.

„შეიძლება მხოლოდ გაგვაკვირვოს ქართველ კოლმეურნეთა მუყაითობამ, როცა დაფიქრდები თუ რამდენი რამ გაუკეთებიათ მათ თავიანთი კოლმეურნეობების დაარსებიდან დღემდე.

ჩვენ გაგვაოცა იმათ კრიალა სახლებმა, ძვირფასად მორთულმა საცხოვრებელმა ბინებმა.

კოლმეურნეებმა დიდი სტუმართმოყვარეობით მიგვიღეს და ჩვენს შორის ჭეშმარიტ მეგობრობას ჩაეყარა საფუძველი. თუ აქამდე კოლმეურნეობებზე ბუნდოვანი, არასწორი წარმოდგენა გვქონდა, დღეს გაოცებულნი ვართ ნახულით."

**ლოტე შტეინბაკი,**
ფეიქარი ქალი, შრომის გმირი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

„მხოლოდ საბჭოთა ადამიანებს გადაუშალა თავისი საგანძური ლეგენდარულმა კოლხიდამ. ძველი ჭაობის ნაბუდარზე აფეთქდა და აყვავილდა ფორთოხლისა და ლიმონის ხეივნები. ჩვენ ვესტუმრეთ შავი ზღვის სანაპიროს უმშვენიერეს კუთხეს—ქალაქ ბათუმს. იგი ზღაპრული სილამაზისაა... დაბურული დიდი პარკი—ბათუმელი ბავშვების საყვარელი ადგილია, სადაც თვითეულ ბავშვს თავისი გემოვნებით შეუძლია გასართობის არჩევა."

**ელენე კრეჩეტოვი,**
ჩეხი ჟურნალისტი.

„განა ოდესმე დამავიწყდება შილერის „მარია სტიუარტის" დადგმა, რომელიც თბილისში ვნახე?

მან გასაოცარი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე—აი, როგორ უნდა შილერის განსახიერება!"

**ერიკა დუნკელმანი,**
გერმანელი მსახიობი ქალი.

1954 წელს ფედერაციის ინიციატივით ბავშვთა დაცვის საკითხებზე ლოზანაში შეიკრიბა დედების მსოფლიო კონგრესი, რომელშიც მონაწილეობდა 66 ქვეყნის 1060 ქალი. კონგრესმა მიიღო მანიფესტი, რომლითაც მოუწოდა მსოფლიოს ყველა ქალს გაერთიანდნენ ატომური და წყალბადის იარაღის გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლისათვის, მშვიდობისა და ხალხთა შორის ძმური კავშირის დამყარებისათვის.

კორეის ომის დროს ფედერაციის მიერ გაგზავნილმა კომისიამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მიმართა მოხსენებითი ბარათით—«ჩვენ ბრალსა ვდებთ». ამ დოკუმენტმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა მსოფლიოში.

ფედერაცია ძლიერია არა მარტო თავისი ორგანიზაციის წევრებით, მის გარშემო დარაზმული მსოფლიოს ქალთა ფართო მასებით, რომლებიც შეუპოვარ ბრძოლას ეწევიან თავიანთ ქვეყნებში ქალთა უფლებების დასაცავად, მშვიდობის განსამტკიცებლად ხალხთა შორის მეგობრობის დასამყარებლად.

ფედერაცია ძლიერია იმით, რომ მის რიგებში გაიზარდნენ და გამოიწრთვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც მამაცურად ძლევენ ყოველგვარ დაბრკოლებას, რომ მის მუშაობას ხელმძღვანელობენ ისეთი სახელგანთქმული საზოგადო მოღვაწეები, როგორიც არიან ხანდაზმული ფრანგი მეცნიერი, ფედერაციის უცვლელი თავმჯდომარე ეჟენი კოტონი (გასულ წელს იგი ქალთა საერთაშორისო სემინარის წევრებთან ერთად მეორედ ეწვია საქართველოს), ფაშიზმის წინააღმდეგ შეუდრეკელი მებრძოლი დოლორეს იბარური—ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე, ნინო პოპოვა—ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე და საბჭოთა ქალების კომიტეტის თავმჯდომარე, გამოჩენილი შვედი მეცნიერი ანდრეა ანდრეანი და სხვები.

ფედერაცია ძლიერია იმიტომაც, რომ მის მუშაობაში წამყვან როლს ასრულებს საბჭოთა ქალების კომიტეტი. საბჭოთა ქალების შრომა და ცხოვრება შთამაგონებელი მაგალითია მსოფლიოს ქალებისათვის, გზას უნათებს მათ ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლაში.

დაე, კიდევ უფრო გაფართოვდეს და ნაყოფიერი გახდეს მსოფლიოს ქალთა მონაწილეობა მშვიდობისათვის, ჩვენი ბავშვების ბედნიერებისათვის ბრძოლის კეთილშობილურ საქმეში.

**ნინო ჯავახიშვილი,**
საბჭოთა ქალების კომიტეტის წევრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.



ვიეტნამელ ქალთა დელეგაცია ვაკის პარკში.



# ნევის ნაპირას

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა



დიდი ოქტომბრის რევოლუციის აკვნის— ლენინგრადის არსებობის 250 წლისთავის საზეიმო დღეებში ფიქრმა კვლავ ნევის ნაპირას დაგვაბრუნა, ჩვენი ახალგაზრდობის დაუვიწყარი დღეები მოგვაგონა.

...სამშობლოსაგან შორს, პეტერბურგში თანდათან იზრდება ქართველ ქალთა პატარა ჯგუფი და უკვე 1917 წლის თებერვალსა და აპრილ-მაისის ბობოქარ დღეებში რევოლუციური პეტროგრადის ყველა მნიშვნელოვან ცენტრში არა ერთსა და ორ ქართველ სტუდენტ ქალს შეხვდებოდით, რომლებიც მკვიდრ მოსახლეობასთან ერთად ზეიმობდნენ მუშათა კლასის მიერ მოპოვებულ დიად გამარჯვებას. ინტერესსმოკლებული არ არის ითქვას, რომ სახელმწიფო სათათბიროს რეზიდენციაში — თავრიდის სასახლეში, სადაც სტუდენტობა აჯანყებულ ჯარებთან ერთად ათენებდა თებერვლის რევოლუციის პირველ ღამეს, ჯთამდე ქართველი ქალი აღმოჩნდით.

მგზნებარე სახეები, ზღვის ტალღებივით მშფოთვარე ხალხის მასა და ამ ვეებერთელა მოვლენის მონაწილე თეთრწინსაფრიანი, მოკრძალებული ქართველი ქალები ახლაც ნათლად წარმოგვიდგება თვალწინ.

განა ოდესმე დავივიწყებთ აპრილის იმ ისტორიულ ღამეს, როცა ფინლანდიის სადგურის წინ, უამრავი ხალხით გარშემორტყმული ჯავშნოსანი მანქანის მაღალ ბაქანზე, პირველად მოგვევლინა სამშობლოში დაბრუნებული ვ. ი. ლენინი. რა დაგვავიწყებს მის პირველ სიტყვას ნევის ნაპირას დაწყებული რევოლუციის დიადი მიზნებისა და უახლოესი ამოცანების შესახებ, რევოლუციისა, რომლის ალში ჩაიფერფლა ძველი პეტერბურგი, რუსეთის ძველი იმპერია და კაცობრიობის განვითარების ისტორიას ახალი გზა გაუხსნა.

ისევე როგორც ჩვენი სამოციანელების «თერგდალეულთა» თაობა პეტერბურგის უნივერსიტეტის კედლებში გამოიწრთო, ქართველ ქალთა უმაღლესი განათლების მთავარ კერადაც იმჟამად ნევის ნაპირები უნდა ჩაითვალოს...

პირველად, კერძო თანხებით, 1872 წელს აქ ქალთა სამკურნალო კურსები გაიხსნა (შემდგომ სამედიცინო ინსტიტუტად გადაკეთებული), ხოლო 1878 წელს ისტორიკოს ბესტუჟევ-რიუმინის თაოსნობით და დირექტორობით დაარსდა საუნივერსიტეტო გეგმით აგებული ქალთა უმაღლესი კურსები, რომელსაც «ბესტუჟევის» კურსები ეწოდა. აღსანიშნავია, რომ კურსების შექმნის პირველი წლიდანვე მის ასიოდე მსმენელს შორის სამი ქართველი ქალიც იყო.

თითო-ოროლა ქართველი ქალი სხვა ქალთა კურსებზეც სწავლობდა, მაგრამ პეტერბურგში ქართველ ქალთა მთავარ «შტაბს» მაინც ბესტუჟევის კურსები წარმოადგენდა. პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინა წლებში ქალები უნივერსიტეტშიც დაუშვეს და ზოგიერთმა მათგანმა 1913—1917 წლებში იქ ჩააბარა სახელმწიფო გამოცდები.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ყველა «პეტერბურგელი» ქალი შევიკრიბეთ თბილისში—ახლადდაარსებულ ჩვენს საკუთარ უნივერსიტეტში, მისი მეთაურისა და ფუძემდებლის ივანე ჯავახიშვილის გარშემო. შემთხვევითი არ გახლავთ, რომ აქ დართულ სურათზე—პეტერბურგში მოსწავლე ქართველ ქალთა ერთი ჯგუფის ცენტრში ვხედავთ მას. ივანე ჯავახიშვილი ქალთა განათლების ისეთივე პატრიოტი იყო, როგორც თავის დროზე საქართველოს ქიმიური სკოლის ორი დიდი ფუძემდებელი: ვასილ პეტრიაშვილი და პეტრე მელიქიშვილი, ნევის ნაპირას კი— მენდელეევი, ბოროდინი და სეჩენოვი.

უმაღლესი სასწავლებლების გარდა «განათლების» არანაკლებ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა თვით ნევის ნაპირის «ჰაერი».

პეტერბურგში ქართველი სტუდენტი ვაჟები და ქალები ერთმანეთს ვხვდებოდით ან ჩვენი «სათვისტომოს» კრებებზე, ან სხვა შეკრებებზე, უმთავრესად კი ორ-სამ ქართულ ოჯახში.

მათ შორის პირველ რიგში უნდა მოვიგონოთ ჩვენი ცნობილი სამოციანელის დავით აბდუშელიშვილის ოჯახი თავისი ოთხი ქალიშვილით, რომელთაგან უფროსი ანასტასია (აწ მუსიკის ცნობილი პროფესორი ა. დ. ვირსალაძე) ბრწყინვალედ სწავლობდა კონსერვატორიაში.

გარდა ამისა, კვირაობით დიდძალი მოსწავლეახალგაზრდობა ნიკო ნიკოლაძესთანაც ხვდებოდა იმ დროისათვის რუსული კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებს. დროგამოშვებით თავს ვიყრიდით რამდენიმე ადგილობრივ ოჯახშიც, რომლებიც ჩვენი მამების რუსეთთან დაახლოების დროიდან მოწინავე ქართველი ახალგაზრდობისადმი სიმპათიას იჩენდნენ. სწორედ აქ გავიცანით ბლოკი და ბალმონტი, გამოჩენილი რუსი კომპოზიტორები სკრიაბინი, რიმსკი-კორსაკოვი, გლაზუნოვი. აქ ვუსმენდით მოსკოვის თეატრის «ნაღებს», თვით შალიაპინსაც...

ნევის ნაპირები, წარუშლელი ძველი და ახალი შთაბეჭდილებანი, ორას ორმოცდაათი წლის ლენინგრადი ახალგაზრდული იერით, მოზეიმე და სიხარულით აღსავსე! რამდენი რამაა ამ სახელთან დაკავშირებული! მაინც მთავარი ის დიდი მეგობრობაა, რომელსაც საფუძველი ნევის ნაპირას ჩაეყარა და დღეს ჩვენს სოციალისტურ სინამდვილეში უფრო ღრმა და მყარი გახდა.

პროფესორები: **რუსუდან ნიკოლაძე** და **ანა ჩხეიძე**, დოცენტი **ნინო ქადეიშვილი**, პედაგოგი **რუსუდან მიქელაძე**.



ბესტუჟევის კურსებზე მოსწავლე ქართველ ქალთა ჯგუფი ივანე ჯავახიშვილთან ერთად. სხედან (მარცხნიდან): ვ. მგელაძე, თ. მენაბდე, ი ჯავახიშვილი, შ. ასათიანი, ა. ჩხეიძე. დგანან: რ. მიქელაძე, ნ. ბარათაშვილი, ქ. ბაქრაძე-ინგოროყვა, ც. ლოლობერიძე,ნ. ქადეიშვილი.

მარიკა ბარამაშვილი

## უცნობი ქალის პორტრეტი

გადაცრეცილა ჟურნალის გვერდი,
გარდავლილ დღეთა ნატერფალებით...
მასზე უცნობის პორტრეტი—ერთი
მავსებს ოცნებით და მღელვარებით.

მიუტაცნია ლეჩაქის ნისლი
თლილი თითებით—გასაოცრებით.
ვისი სატრფოა, ასული—ვისი,
ეს დამპყრობელი მხატვრის ოცნების?

ნეტავ, ვის გულში აანთო ალი,
ვისი ფიქრები დაისაწინდრა,
ვინ შეაშფოთა ლეჩაქის ქარით
და შემდეგ გული მისცა საფიცრად?

სადა კაბაში გამონაკვთულის,
გიტაცებთ მისი ნაზი მშვენება...
ო, მან უთუოდ კერა ქართული
გადაარჩინა გადაშენებას.

მან შეგვინახა ჩვენი ანბანი
და ჩუქურთმები ოდა-სახლისა,
ეს იყო ერთი მრავალთაგანი,
ვინც ვაჟკაცურად იდგა სახნისთან.

ვინც მტერს ხვდებოდა ვეფხვური
რისხვით,
ოჯახი არვის დააჩაგვრინა...
ვაჟკაცს ათრობდა ჩონგური მისი,
აფრთიანებდა შვილებს «ნანინა».

ვისაც გმირობა ერგუნა ბედად,
მოყვრის დამხვდური, მტრის
შემმართველი,
ათი-თორმეტი ქალ-ვაჟის დედა,
აზრებნათელი ქალი—ქართველი.

... ამ სახეს ისე როგორ ჩაუვლი,
არ შეგაჩეროს, არ აგაღელვოს,
ქალმა ძველებურ თავსამკაულით,
ასე ნაცნობმა და უსახელომ!

დავცქერ, მიტაცებს მასზე ოცნება...
თითქო წკრიალებს ზარები—
ვერცხლის...
არა, უცნობი ქალი ცოცხლდება
და მისი ლაღი კისკისი მესმის!

იგი სათუთად ევლება ვარდებს
და მანქანებთან დგას ვაჟკაცურად,
გაჰკრავს—ლაჟვარდში
შეინავარდებს,
გაჰკრავს—მხარულით ზღვას
გადასცურავს.

ქარიშხლის ფრთებზე დაგეშავს
მართვებს,
სხივებს გააბამს ჩანგზე სიმებად...
არა, მას ანბანს ვერვინ წაართმევს
და ვერც სამშობლოს შეეცილება.

მარიჯან ალექსიძე

## საბჭოთა ქალს

რა არ გადაიტანე? რის არა ხარ
მნახველი?
ბრძოლით შეგიძენია უფლება და
ღირსება.
ბარი დაიმორჩილე, მთის მწვერვალზე
ახველი,
შენი შრომის ბარაქით კვლავ
ბეღლები ივსება.

შრომის ქვეყნის მშვენებას რაზე არ
გიფიქრია?
რას არ ჩასჭიდებია ქალის სუსტი
მარჯვენა?
შეუპოვარ შრომაში თუმცა წლები
მიჰქრიან,
რასაც ხელი მოჰკიდე, წილად გხვდა
გამარჯვება.

შენს ხელშია ჩაქუჩი, შენს ხელშია
კალამი,
შენ გახარებს ნამყენის ფოთოლთ
ნაზი შრიალი,
შენ გახარებს ყანების თავთავების
სალამი
და ბავშვების წარმტაცი გიშრის
თვალთა ციალი.

მაგრამ თუ კი გაბედეს მყუდროების
შელახვა,
თუ ვინმე ჩაგვისაფრდა მზაკვრულად
და მტრულადა,
მამაკაცთან ერთადა ჩვენს საზღვრებზე
შენცა ხარ
შენც დაიცავ მშვიდობას, შენც
იბრძოლებ გულადად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## წაუკითხეთ პატარებს

### თხილის ნაჭუჭები

— ვინ მოსწყვიტა მოუსვლელი თხილი, ვინ?—ჯავრობდა ბებია..

— მე არა!

— მე არა!

— მე არა!

— მე არა!

თქვეს ოთხივე შვილიშვილმა. ფეხები კი თხილის ნაჭუჭებზე ედგათ.

— ამას ქვია: „ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო",—უფრო ძლიერ გაჯავრდა ბებია და თხილის ნაჭუჭების დაგვას შეუდგა.

— ნაჭუჭების ბრალია!—თქვა პირველმა შვილიშვილმა ჩუმად.

— ნაჭუჭებმა დაგვაბეზღეს!—თქვა მეორემ უფრო ჩუმად.

— ფეხებით უფრო კარგად უნდა დაგვეფარა!—თქვა მესამემ სულ ჩუმად, ჩუმად.

— თხილისათვის ხელი არ უნდა გვეხლო!—თქვა მეოთხემ კიდევ უფრო ჩუმად, ჩუმად.

— ჩვენც ნულარ ვახლებთ ხელს!—აჩურჩულდნენ ისევ.

— ხანამ არ დამწიფდება!

— სანამ არ გაწითლდება!

— სანამ რთველს არ მოვიწევთ!

დათქვეს და შეასრულეს.

რთველის შემდეგ ბებიამ თითოს თითო ჯამი თხილი დაუდგა წინ და ეშმაკური ღიმილით უთხრა: ნაჭუჭებს ფეხებს ნულარ დაადგამთო.

### ნანას თვალები

— არ დაიძინოთ, თქვენი ჭირიმე!—შეევედრა ნანა თვალებს, და თვალებიც უჯერებდნენ, ძილს ახლოს არ იკარებდნენ.

მერე რა, რომ დედა მღეროდა: „იავ ნანავ, ვარდოვ ნანავ". არ იძინებდნენ თვალები.

მერე რა რომ უყვებოდა დედა: „იყო და არა იყო რა". მაინც არ იძინებდნენ თვალები...

შეშინდა დედა.—ნანა ავად გამიხდაო და დაყვავებით დაუწყო გამოკითხვა:

— ხომ არ გცივა, ნანა?

— არა!

— ხომ არ გცხელა, ნანა?

— არა!

— ხომ არ გტკივა ყელი, ყური?

— არა, დედა, არა!

— მაშ თვალებს რისთვის არ ხუჭავ, რად არ გძინავს, ნანიკო?

— იმიტომ რომ, როცა მძინავს, შენ ვერ გხედავ, დედიკო!

თამარ ჩხაიძე.



**ნინო აბაშიძე**

მხატვარი დ. ერისთავი

## მოთხრობა

ტასო ნათაძე რვეულებით ხელში სკოლიდან ბრუნდებოდა, რუსთაველის გამზირზე დინჯი ნაბიჯით მოდიოდა. მის მქრქალ სახეს ვერცხლისფერი თმა და ღიმილი უხდებოდა.

ქალაქი ახალგაზრდობის ფესტივალისათვის ემზადებოდა. გამზირს სადღესასწაულოდ რთავდნენ. პიონერთა სასახლის ბაღიდან ჭაბუკებისა და ქალიშვილების უდარდელი სიცილ-კისკისი მოისმოდა.

— აი, ესენი ალამაზებენ ჩვენს ცხოვრებას,—უთხრა ღიმილით თანამგზავრ ქალს ტასომ და ამწვანებულ ხეივანს სიამოვნებით შეავლო თვალი. ბებერი თელის ხეებს მწვანე ტოტები ერთმანეთისათვის მიებჯინათ და ცხელი ასფალტი დაეჩრდილათ. ხალხის ტალღა ნელა მოედინებოდა. მოპირდაპირე მხრიდან ტასოსაკენ ახალგაზრდა კაცი გამოეშურა, მას პატარა ბიჭუნასთვის ხელი ჩაევლო.

— როგორ გეძებდით,—უთხრა მხიარულად და სახე შესამჩნევად შეუწითლდა,—ხომ მიცანით?

იერი ისეთი ნაცნობი ჰქონდა, რომ ტასომ იმ წუთშივე გაიფიქრა—როგორ არა, ეს თვალები ჩემი მოწაფისაა. მაგრამ ვინ იყო, ან რა გვარი, ვერ მოიგონა.

— ჩვენი რკინიგზის სკოლა ხშირად მაგონდება.

რკინიგზის სკოლის ხსენებაზე ტასოს თვალები გაუბრწყინდა. მოაგონდა ის ბიჭუნა, რომელსაც თვალები ყოველთვის მძივებივით უბრწყინავდა და ადრე დილით უფროს ძმასთან ხელიხელჩაკიდებული სკოლისაკენ მოეშურებოდა.

ნუთუ ის არის?

— ძალიან მაგონებ ერთ მოწაფეს...

— რომელს?—შეეკითხა ნამოწაფარი.

ტასო გაჩერდა. გვარი მაინც ვერ მოიგონა.

— სკოლაში გარეუბნიდან მატარებლით დადიოდა, მამა მეისრე ჰყავდა.

— ის მოწაფე მე ვარ, ნოშრევანიძე,—ღიმილით უპასუხა ახალგაზრდა კაცმა.

— შენა ხარ ის ჩია ბიჭი? რა საკვირველი ამბები იცის დრომ. თავზე წელიწადებს ისე შეუმჩნევლად გადმოგაყრის, რომ გუშინდელ ბავშვს დღეს ვაჟკაცად წარმოგიდგენს.

ბიჭუნამ მამას წაავლო ხელი და თითქმის ძალით გაიტაცა, ლაპარაკი არ დააცალა.

— მე თქვენ ამ დღეებში უსათუოდ გინახულებთ,—უთხრა ნოშრევანიძემ და გამოემშვიდობა.

— ეჰ,—ამოიოხრა ტასომ ისე ხმამაღლა, რომ თანამგზავრი შეეკითხა, ხომ არაფერი გაწუხებთო.

— ჩემი ნამოწაფარი ველარ ვიცანი.

— მერე რა მოხდა. ეგ ჩვეულებრივი ამბავია, ალბათ ძალიან გამოიცვალა.

— ის გამოიცვლებოდა, სხვანაირად არც შეიძლება. მაგრამ მე კი უკვე დავბერებულვარ. ეტყობა, ყველაფერს თავისი დრო აქვს. მეხსიერებამ მიღალატა,—ჩაილაპარაკა ტასომ და თვითონაც გაუკვირდა, ეს აზრი ასე უცებ საიდან გაჩნდაო. მასწავლებელმა, რომელმაც ნაამაგარი მოწაფე ვერ იცნო, ფარხმალი უნდა დაყაროს, ფიქრობდა იგი და მისდა უნებურად ალაპარაკდა:

— ოცდაორი წლის წინ იყო. ღამით ბორჯომის ხეობიდან მოვდიოდი. მატარებელი ნავთსადენთან გაჩერდა, როგორც ამბობდნენ, იგვიანებდა. ზამთრის ქარიანი ღამე იყო. ვაგონში შალმოხვეული მაღალი ქალი ამოვიდა, ხელი ბიჭებისათვის ჩაეჭიდა.

— თუ შეიძლება, დასვით აქ სადმე, გაყინულები არიან,—სთხოვა მგზავრებს. მგზავრებმა ბუზღუნით მიიწმოიწიეს. ბავშვები ჩამოსხდნენ. პატარას რკინიგზელის დიდი ქუდი ეხურა, შავ, ნამძინარევ თვალებს ჩემსკენ აცეცებდა, დავაკვირდი, ჩემი მოწაფე ვიცანი.

— რა გინდა აქ?—შევეკითხე.

— სკოლაში მიდის,—მიპასუხა დედამ ალერსიანი ხმით.

— ბავშვები აქედან დადიან სკოლაში?

— დიახ, აქედან დადიან. ამათი მამა მეისრე იყო. ახლა ავადაა. მის მაგივრად მე ვმუშაობ. ბილეთი მუქთი გვაქვს. მაგრამ უბედურება ის არის, რომ რკინიგზიდან შორს ვცხოვრობთ. რა გაეწყობა! სიღარიბესა და სიბნელეს ხელიდან უნდა გამოვტაცო ჩემი ბიჭები,—ჩაილაპარაკა ქალმა.

ელექტრონის შუქზე დედის სურვილით სავსე თვალები დავინახე. ბავშვებთან მივიდა იგი, პატარას ჩამოფხატული ქუდი გაუსწორა, დიდს პალტოს საყელო შეუხსნა...

— თქვენც და ბავშვებიც ალბათ ძალიან წვალობთ, არა?—შევეკითხე.

— ჩემს წვალებას ვინ დაეძებს. ამათ რომ ასე დავაბინავებ, შინ ისე მივფრინავ, თითქოს საწადელისთვის მიმეღწიოს.—ამ სიტყვებით გამომემშვიდობა და სიბნელეში მიიმალა.

არასოდეს არ დამავიწყდება არც იმ ქალის სევდითა და სიყვარულით აღსავსე თვალები და არც მისი შვილები.

ვღელავდი, ვიდრე არ დავინახავდი, როგორ მორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა




ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის საზეიმო გახსნა ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე.



საქართველოს ახალგაზრდობის დელეგაცია წითელ მოედანზე.



# ...სადაც ცრემლი სდიოდა მიწას

ლია კაკაბაძე

მეახნის ქალმა მაჯის საათს დახედა. დრო შეუმჩნევლად გასულიყო. სათვალე მოიხსნა და ოდნავ მოღლილი თვალებით პირდაპირ მჯდომ ქალს მიაჩერდა.

ერთხანს უსიტყვოდ შესცქეროდნენ ერთმანეთს. შემდეგ მზერა საწოლზე გადაიტანეს—საბანი მკერდამდე დასცურებოდათ პატარებს, ტკბილად ეძინათ. ერთს ხელი თავქვეშ ამოედო, მეორეს ბაგე ოდნავ გახსნოდა. ახლა სხვა საწოლებს მოავლეს თვალი. ოთახში სივიწროვე იგრძნობოდა.

სამგორის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი პარასკევა გუნია უხერხულად წამოდგა, კარისაკენ გაემართა და გამოთხოვებისას ესღა მოახერხა:

— რა გაეწყობა. ჯერჯერობით პირობები მართლაც მძიმეა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ...

გარეთ გამოსული შინ არ შებრუნებულა, მეურნეობის ტერიტორიას გაჰყვა. მიდიოდა და ჩვეულ სამგორზე, მის გარდასულ დღეებზე თითქოს ღამის ჩურჩული ჩაესმოდა:

— მიწავ, რად ხარ ასეთი უგული, რად არ გემეტება კაცისთვის ერთი პეშვი წყალიც კი, რომ დასიცხულს შვება მისცე? ასე რამ გაგიშრო ძარღვებში სისხლი, რამ ამოგიწვა გული, ტიალო?—დაუჩივლია ოდესღაც მას, ვისაც წყალი უძებნია სამგორის ველზე და წყურვილი ვერ მოუკლავს. ხარი დაუყრავს მის ლოდიან მკერდზე და მარტოოდენ გაზნარული ზარის ხმა სმენია—ქვაზე ასხლეტილი ფოლადი.

განა ასე იყო თავიდან? ოდესღაც აქ ხამ გორას შორის მოქცეულ მიწაზე მზარვალილ ხევს სამოელობელი ქონიათ აღმართული. შეყვარებულთა საადგომლად შეუნახავთ, მათი სიხარულიც პირველს უგრძნიათ. აქ მამერალთათვის ანკარა წყაროებს ეძებნიათ, დამწუხრებულთა გული დაუამებიათ, ბედნიერთათვის ფრთა შეუსხამთ... ერთდროს სიცოცხლე ჰქვაოდა სამგორის მკერდზე, სანამ მტერმა არ გადაიარა, ფესვიანად არ აკაფა.

გვიანი შემოდგომა იყო და ცივი ქარი უბერავდა. იქნებ ღამის ეს ჩურჩულიც მას მოჰქონდა? დირექტორი მიდიოდა პალტოგახსნილი და ვერ გრძნობდა მოახლოებული ზამთრის სუსხს. თავი მიაბრუნა და იმ ოთახის სარკმელს შეხედა, სადაც ცოტა ხნის წინ ლამარა ჯობაძეს ესაუბრებოდა. იქ სინათლე ჩაექროთ. დაწვა, გაიფიქრა და გაახსენდა, რომ მისთვისაც ძილის დრო იყო. მაგრამ როგორ შეეძლო დაძინება. გულზე ჯავრმოდებული იდგა მეურნეობის დირექტორი და ახლადგადგმულ სახლის სარკმელს დასცქეროდა. მაგრამ სარკმელს როდი ხედავდა. თვალწინ ისევ ის ბავშვები ედგა, ერთს ხელი თავქვეშ რომ ამოედო და მეორეს ბაგე გახსნოდა. მას ახლაც ესმოდა აიკაზა ტანკამიანის საყვედურები, წასვლისას რომ უთხრა:

— მე და ჩემი ცოლი ორივენი ვმუშაობთ, ბავშვები მოუვლელნი არიან. წყალი არ არის, არც სინათლე. ვერა, ვერ დავდგები. ცოლშვილიანი რომ არ ვიყო, მაშინ...

მაგრამ ეს სიძნელეები ხომ დროებითია. კოლექტივი კარგი ჰყავს მეურნეობას. დაუზარელი, გამრჯე. მათ სულ მალე ყველაფერი ექნებათ და რაც მთავარია, საკუთარი ხელით ნაგები და ნაამაგარი.

— დედამშვილობას, მიწავ, ზრუნვას არ მოგაკლებთ, ოღონდ კვლავ აჰყვავებული გვიხილოთ! და თითქოს შენობის სარკმლის ქვებმაც ენა ამოიდგეს, ისინიც ალაპარაკდნენ: ექვსი საცხოვრებელი სახლის ფუძე ჩაყრილია. საბავშვო ბაღიც იქნება, კლუბიც, სასადილოც, აბანოც, სკოლაც, პოლიკლინიკაც და ამ სიძნელესაც, ახლა რომ თვალთან თიას ვერ მიიტან, ელექტრონი დააფრთხობს.

მეურნეობაში სამუშაო დღე მზის ამოსვლამდე იწყებოდა. ირიჟრაჟებდა თუ არა, ყველანი ფეხზე იდგნენ. ზოგი მინდვრისაკენ მიდიოდა, ზოგი ხარაჩოებზე ასული, ზოგიც ფერმაში ტრიალებდა.

ერთხელ, დილაადრიან ფერმისაკენ მიმავალმა პარასკევამ მოახლოებული მამაკაცი შენიშნა და გაოცებული შედგა.

— აიკაზა, შენა?

აიკაზა ჩუმად მიუახლოვდა, ხელის გაწოდებაც ვერ გაბედა. მკლავები მოცქლილივით დაუშვა. მის უხერხულობაზე ოფლით დაცვარული შუბლი ლაპარაკობდა. დირექტორმა იგრძნო, არაფერი უკითხავს, ხელი გაუწოდა და ესღა უთხრა:

— წავიდეთ!

გზად მუშები შემოხვდნენ. ძველი ნაცნობები შორიდანვე უცინოდნენ აიკაზას, ხელს უქნევდნენ. მათში ლამარა ჯობაძეც ერია, რომლის შესახებაც ჩამოსვლისას გაიგო აიკაზამ: შენს მერე ისიც წავიდა, მაგრამ კვლავ დაგვიბრუნდაო.

— ნეტა, მიწა გასკდეს და თან ჩამიტანოს, რომ ხალხში გამოვწყდი, აქაურობა ცუდ დროს მივატოვე,—თავჩაღუნული მიჰყვებოდა აიკაზა დირექტორს და თვალი ვერავისთვის გაესწორა.

— აქ კვერცხმდებელი ფრინველის მექანიკური ფაბრიკა შენდება. სულ მალე ხუთიათას ფრინველს ერთი მომვლელი ეყოლება. აქ კი საბავშვო ბაღი იქნება. პატარები როგორა გყავს?

ახლა კი თავი ვერ შეიკავა შვილების მამამ. ყელში მოწოლილი სიმწარე ჩაყლაპა და ვედრებით უთხრა:

— არ ვიცი, მაპატიებთ თუ არა ჩემს შეცდომას, მაგრამ უნდა მიმიღოთ. ცოლ-შვილიც აქა მყავს, ძველ მეზობლებთან დავტოვე.

პირდაპირი პასუხი ვერ მიიღო. დირექტორი თავისას განაგრძობდა:

— გახსოვს, შენ 2 ათასი ფრთა ფრინველი დატოვე, ახლა ექვსი ათასი გვყავს. ნათესი მინდორი ხომ რაღაც ასი ჰექტარი იყო. ამჟამად მეურნეობის ათას ორასი ჰექტარი ფართობიდან ცხრაასამდე საკვებ კულტურებს უჭირავს.

... მზე კარგა მაღლა იყო ამოსული, როცა დირექტორი აიკაზას დაცილდა. გამგეობის შენობის საფეხურები აირბინა, უცბად უკან მობრუნდა და მიაძახა:

— სანამ სამუშაოდ გამოხვალ, ცოლ-შვილი დააბინავე, ოთახს გამოგიყოფთ.

კაბინეტში შესულს, ფეხდაფეხ შეჰყვა მისი მოადგილე—მთავარი ზოოტექნიკოსი კლავდია ცერცვაძე.

— როგორ გყავს ახალგაზრდები?—შეეკითხა დირექტორი და სკამზე მიუთითა.

ახალგაზრდებში იგი ახალბედა სპეციალისტებს ზინაიდა ახვლედიანსა და ოთარ ქოიავას გულისხმობდა, რომელთაც დამოუკიდებელი ცხოვრების პირველი დღეების სიძნელეებს [illegible] კლავდიამ პასუხის გაცემა დააპირა, რომ კარებში მამაკაცი გამოჩნდა.

— უახლოეს დღეებში რა დახმარება მშენებლობას?—შემოსვლისთანავე შეაგება სიტყვა დირექტორმა.

თითქოს ამ კითხვას ელოდაო, მშენებლობის სამუშაოთა მწარმოებელმა ბორის პრესნეცოვმა ერთბაშად ჩამოუთვალა რა დახმარება სჭირდებოდა.

კლავდიამ მაგიდაზე დადებულ ნაწერს დახედა, რომელიც დირექტორს კედლის გაზეთისათვის გაემზადებინა და უნებურად თვალი გაჰქცა:

«წელს გეგმით გათვალისწინებული გვქონდა ას ოცი ათასი წიწილის გამოჩეკა. დღემდე გამოჩეკილია ასი ათასი. ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის ასორმოცი ათას წიწილს გამოვზრდით. ასორმოცდაათი ცენტნერი ფრინველის ხორცის ნაცვლად სახელმწიფოს ოთხასორმოცდაათ ცენტნერ ხორცს ჩავაბარებთ.»

ტელეფონმა დარეკა... დირექტორმა მოსაუბრეს სასკოლო ინვენტარის გამოგზავნა მოთხოვა. დათქმულ ვადას არ გადააცილოთო—შეახსენა და მოადგილეს მიუბრუნდა:

— წელს სექტემბრიდან ჩვენი სკოლის კარი გაიღება. ნორჩები მერხებს მიუსხდებიან, მარტო წიგნს კი არა, ცხოვრებას ისწავლიან, დაიზრდებიან მართვები. და მაშინ ბევრი სამგორის მრავალჭირნახული მიწა კიდევ უფრო იხარებს... ცრემლი როდი დაედინება.



მეურნეობის დირექტორი პ. გუნია და მთავარი ზოოტექნიკოსი კლავდია ცერცვაძე ამოწმებენ ნოემბრის სოციალისტური შეჯიბრების ნაყოფის ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას.





ფესტივალის ლაურეატი ვოკალური ანსამბლი „შვიდკაცა“.

# მეგობრობა, სიყვარული, მშვიდობა

ეს იყო ჭეშმარიტად დაუვიწყარი დღეები, ჩვენი პლანეტის სიჭაბუკის უბადლო დღესასწაული, ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალი! მისი ალამი 15 დღეს ფრიალებდა ჩვენი სამშობლოს გულში—მოსკოვში.

ახალგაზრდა სტუმრების შესახვედრად ზღაპრულად მორთულ საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქში ნახევარი თვის მანძილზე გაისმოდა 131 ქვეყნის 34 ათასი ქალიშვილისა და ჭაბუკის მხურვალე გულებიდან ამოხეთქილი შეძახილი მრავალ ენაზე:

— მშვიდობა! მეგობრობა!—დევიზი და შინაარსი ამ გრანდიოზული ფესტივალისა, დევიზი, რომელმაც უძლეველი ძალით გაიკვლია გზა დედამიწის ყველა კუთხის ათეული მილიონობით ახალგაზრდის გონებისა და გულისაკენ.

მსოფლიოს ახალგაზრდობა ამ ფესტივალზე წარმოსდგა თავისი სანუკვარი მისწრაფებით—უკეთესად გაუგონ ერთმანეთს, უფრო ახლო გაიცნონ ურთიერთი, შეკავშირდნენ დიადი მიზნისათვის—რომ უფრო ლამაზი და საინტერესო იყოს ჩვენი ცხოვრება, წყვდიადმა ვერ სძლიოს სინათლეს, იშრომონ და იცხოვრონ მშვიდობიანი ცის ქვეშ.

ამ დიადი სულისკვეთებით იყო გამსჭვალული ფესტივალის მრავალფეროვანი პროგრამაც: მეგობრობის საღამოებმა, სხვადასხვა ქვეყნების დელეგაციების, სტუდენტების, მსგავსი პროფესიების ახალგაზრდების შეხვედრებმა, ცხარე დისკუსიებმა და სემინარებმა, სპორტულმა თამაშობებმა ერთმანეთს დაუახლოვა და დაუმეგობრა სხვადასხვა ქვეყნის, ეროვნების, სხვადასხვა კანისფერის, პოლიტიკური და რელიგიური მრწამსის ჭაბუკები და ქალიშვილები. ხიროსიმას ტრაგედიის წლისთავის აღსანიშნავად მანეჟის მოედანზე გამართულმა გრანდიოზულმა შეკრებამ დაარწმუნა ახალგაზრდები, თუ რამდენად აუცილებელია მათი ძალების გაერთიანება ატომური ომის წინააღმდეგ, მშვიდობის უზრუნველსაყოფად. კოლონიური ქვეყნების ახალგაზრდობასთან სოლიდარობის საღამოზე აბრიალებულმა კოცონმა, მეგობრობის პარკმა, რომელიც ფესტივალის მონაწილეებმა თავიანთი ხელით გააშენეს, ნათლად აგრძნობინა მათ მშვიდობიანი ცხოვრების მომხიბლაობა და სიდიადე.

ფესტივალის დღეებში უცხოეთის ქვეყნების ახალგაზრდობამ ახლო გაიცნო კეთილშობილი და მამაცი საბჭოთა ხალხი, ჩვენი შესანიშნავი ახალგაზრდობა, ვისი გულებიც ყოველთვის გახსნილია გულწრფელი, პატიოსანი მეგობრებისათვის, და რომლებსაც სძულთ ომი და სურთ მეგობრულად იცხოვრონ ყველა ქვეყნის ხალხებთან.

11 აგვისტოს, საღამოს ლენინის სახელობის სტადიონზე ლუჟნიკებში დაეშვა ფესტივალის ალამი. დამთავრდა ახალგაზრდობის გრანდიოზული დღესასწაული. მაგრამ მისი სულისკვეთება მარად იცოცხლებს ჭაბუკებისა და ქალიშვილების მხურვალე გულებში. მეგობრობა და სიყვარული, რომელიც უფრო გაღვივდა მოსკოვში, უკვდავია. მშვიდობისადმი მისწრაფება, რამაც ასე დააახლოვა და შეაკავშირა ჩვენი სამყაროს საუკეთესო ახალგაზრდობა, უძლეველია.



ახალგაზრდობის ბალი კრემლში. საქართველოს ახალგაზრდები ინგლისელ მასპინძელ ქალებთან.





ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საქართველოს ახალგაზრდების ჯგუფი წითელ მოედანზე.

საქართველოს დელეგატების ჯგუფი სირიისა და ისლანდიის ახალგაზრდობის წარმომადგენლებთან.





ქართველი და ლუქსემბურგელი სტუდენტები გაზეთ „პრავდის“ რედაქციის კლუბთან.

ფესტივალის დღეებში გაიმართა 21 მხატვრული კონკურსი. საუკეთესო ახალგაზრდა ტალანტებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ფესტივალის ლაურეატის საპატიო წოდება მიენიჭა. ლაურეატთა შორის ჩვენი რესპუბლიკის ნიჭიერი ახალგაზრდებიც არიან. ოქროს მედლებით დაჯილდოებული არიან ვოკალური ანსამბლი—„შვიდკაცა“ (ხელმძღვანელი ჯანო კახიძე) და მხატვრული კინოფილმი „ჩვენი ეზო“ (დამდგმელი, ახალგაზრდა რეჟისორი რევაზ ჩხეიძე); ვერცხლის მედლები მიიღეს თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის ოპერის სოლისტებმა ზურაბ ანჯაფარიძემ და ნოდარ ანდღულაძემ, კომპოზიტორებმა—ოთარ თაქთაქიშვილმა და სულხან ცინცაძემ, ლენინური კომკავშირის სახელობის ქართული ხალხური ცეკვების ანსამბლმა (ხელმძღვანელი გ. დარახველიძე); ბრინჯაოს მედლით დაჯილდოებულია საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრი (ხელმძღვანელი ი. ტულუში).

საკავშირო ფესტივალის ლაურეატი მოცეკვავე ლ. მითაიშვილი.





ჩოხატაურისა და გუდაუთის რაიონების ცხენბურთელთა თამაშის ერთერთი მომენტი.





ქართული ქორწილი ფესტივალზე. ქვემოთ—ცეკვავენ ნეფე-დედოფალი ჯ. კიკნაველიძე და ს. იაშვილი. ზემოთ—აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ახალგაზრდები ქორწილზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდნენ სკოლისაკენ დილის ბინდ-ბუნდში ბიჭუნები· რითაც შემეძლო, ვეხმარებოდი. მადლობის გადასახდელად რამდენჯერმე დედაც მოვიდა. ავადმყოფობას უჩიოდა, ყოველთვის ერთსადაიმავეს მეუბნებოდა: ოღონდ ჩემი ბიჭების გზაზე დაყენებას მოვესწრო და არ დავეძებ, თუნდაც მეორე დღესვე მოვკვდეო.

რამდენიმე წლის შემდეგ სხვა სკოლაში გადამიყვანეს. უმცროსმა მაინც მომძებნა. საშუალო სკოლა ჩემთან დაამთავრა. მერე კი თვალთაგან მიმეფარნენ. რკინიგზის ხაზზე მოვიკითხე, მაგრამ იქ აღარ აღმოჩნდნენ.

ხშირად მაგონდებოდა ისინი, ვფიქრობდი, ნეტავი როგორ მოაწყვეს თავიანთი ცხოვრება, დედა თუ მოესწრო შვილების ბედნიერებას? დღეს კი, თურმე, ის ბავშვი ჩემს წინ იდგა, და ხომ დაინახეთ, ველარც კი ვიცანი!

ტასომ ნაღვლიანად გაიღიმა და ნაცნობ ქალს გამოემშვიდობა. მთელი დღე აფორიაქებული იყო. გადაწყვიტა ჩემი დასვენების დრო დადგაო, მაგრამ ეს მარტოოდენ ფიქრი იყო, გული ეურჩებოდა. საწერ-კალამი მოიმარჯვა, წერა დაიწყო. ბოლომდე ვერ დაამთავრა, შემდეგისათვის გადადო.

მეორე დღემ სკოლაში ჩვეულებრივად ჩაიარა. ტასო შინ დაბრუნდა, პატარა ბარათი დახვდა. მოქანდაკე თხოვდა, ატელიეში წვეოდა. ტასოს არ გაუკვირდა, თითქოს მიხვდა კიდეც, ვინ წერდა. მისი მოწაფეები მოქანდაკეებიც იყვნენ, დიდი წარმოების ხელმძღვანელებიც, მწერლებიც, პროფესორებიც, მათგან იღებდა წიგნებს, შრომებს, და ისეთივე მღელვარებით კითხულობდა, როგორც წინათ იმათ რვეულებს, რომ ქართულ ენას აქაც ხინჯი არაფერი არ შეჰპაროდა. წერილი ღიმილით გადაკეცა. საათს დახედა. დაღამებამდე დიდი დრო იყო, გადაწყვიტა უსათუოდ წასულიყო.

დაბალი სახლის კარებზე ზარი დარეკა. ვიღაცამ ღონიერი ნაბიჯებით კიბე ჩამოირბინა და ტასოს მოქანდაკე შემოეგება.

— ვიცოდი, უსათუოდ მოხვიდოდით!— სიხარულით შესძახა მან.

— მეც გულმა მიგრძნო, რომ ეს მოქანდაკე შენ იქნებოდი,—გაუღიმა ტასომ და ატელიეში შევიდა, — სად იყავი ამდენ ხანს, რომ არსად ჩანდი?

— მოსკოვის სამხატვრო აკადემია დავამთავრე. იქვე ვმუშაობდი,—უთხრა ნოშრევანიძემ და ქანდაკებას საბურველი გადახადა.

ტასოს წინ მარმარილოს ქალი იდგა გაწვდილი ხელებით, მთელი ძალა ამ ხელებში დაგროვილიყო, თითქოს ძალიან დიდს, რაღაც განუზომელს იფარავდნენ. სახეზე მრისხანებაც ეტყობოდა და სათნოებაც.

— ეს ქანდაკება ჩემი საფესტივალო ნამუშევარია, მშვიდობას მივუძღვენი.—ჩაილაპარაკა მოქანდაკემ.

კარგახანს სიჩუმე იყო.

— დედაშენიც შენი მასწავლებელივით თუ მოესწრო...

მოქანდაკემ თავი დახარა, ყრუ, დაბალი ხმით ჩაილაპარაკა—ვერ მოესწროო.

წამით კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

— მაგრამ ეს გაწვდილი ხელები,—ხმა ამოიღო მოქანდაკემ,—დედაჩემისაც არის, თქვენიც, ყველა ქალის, რომლებიც მომავალ თაობას საშინელ ომისაგან იფარავენ. ამ ქანდაკების გამოკვეთა კი თქვენ შთამაგონეთ.

ტასოს კვლავ მეისრე დედა წარმოუდგა თვალწინ. სახეზე მწუხარება დაეტყო. მოქანდაკის სიტყვაზე თავი აიღო.

— აჭარბებ, ჩემო კარგო, — გაიღიმა ტასომ, — ამ ქანდაკებას შენი გონება ეტყობა, მშვიდობის სურვილი კი ყველა დედის სურვილისაგან აგიღია: შეიძლება მეც წილი მიდევს, მაგრამ ძალიან ცოტა.

— არა, არიან ადამიანები, რომელთა სახის დავიწყებას ვერასოდეს ვერ მოახერხებ,—შეაწყვეტინა მოქანდაკემ—ეს შთაგონება შემთხვევითი კი არ არის, მე თქვენი ადამიანობით წლობით ვიყავი შთაგონებული.

ტასომ ნამოწაფარს შუბლზე აკოცა და ატელიედან გამოვიდა.

შთაბეჭდილება დიდი იყო, თითქოს უკვე მიეღოს ჯილდო იმ ხანგრძლივი შრომისათვის, რომელსაც შესწირა ახალგაზრდობა, და სიბერის წლებიც ამისათვის ემეტებოდა. შინ დაბრუნდა. ქალაქში საფესტივალო ჩირაღდნები კაშკაშებდა. ახალგაზრდობა ხალხს თავის ძალასა და სილამაზეს აჩვენებდა.

რა იქნებოდა, რომ მეც დღეს ვიწყებდე შრომას და არ ვამთავრებდე, გაიფიქრა ტასომ და დაწყებული განცხადება ხელში აიღო. სიტყვა «დავიღალე» არ მოეწონა, თავისი ნაწერი მაგრად მოჭმუჭნა და იმ აზრით, რომ შრომისაგან გული არასოდეს არ იღლება, ჩაეძინა.

მეორე დღეს ქუჩები ახალგაზრდებით აივსო. ნაირფერ ტანსაცმელში გამოწყობილი მოზეიმეთა კოლონები დაუსრულებლივ მოედინებოდა, ქალაქში თავისი საკუთარი მზე შემოჰქონდათ. იმათ ნაბიჯებს, იმათ სიმღერას სულ სხვა იერი ჰქონდა. ტასო ამ სილამაზემ ფანჯარასთან მიიზიდა... გოგონები ყვავილებს ისროდნენ. ისე ეჩვენებოდა, თითქოს ყოველი თაიგულის გადმოსროლისას ახალგაზრდობას უბრუნებდნენ, ხალისს, ძალღონეს, მეხსიერებას. რაც კი წაეღოთ, ყველაფერს, ყველაფერს ისევ უბრუნებდნენ.

აყვავდი, ჩვენო ახალგაზრდობავ!—გაისმა სუიტა.

ტასომ ვერ მოითმინა, ფანჯარა გააღო, შექებაში ყოველთვის ძუნწმა, თავშეკავებელმა ამ სილამაზეს ტაში დაუკრა.

არა, ჩემი ცხოვრება უამათოდ არ შეიძლება.—ფიქრობდა ქალი და თვალები ცრემლებით ევსებოდა.





ამ პატარებს მეგობრებმა—კოჯრის № 1 საბავშვო სახლის აღზრდელებმა—თაიგულები დაუკრიფეს და ასე გაისტუმრეს სკოლისაკენ პირველ სექტემბერს.



ეს თმახუჭუჭა ბიჭუნა, ხელი რომ ვიოლინოსათვის ჩაუვლია, გიორგი ნიკიფოროვია. ოდნავ შესამჩნევი გამარჯვებული ღიმილით გვიყურებს იგი, თითქოს სურს გვითხრას: აი, მე ვიოლინო მაქვს, თუმცა ჯერ კარგად არც კი ვიცი როგორ დავიჭირო, მაგრამ ნახეთ, როგორი მუსიკოსი გამოვალ!

# ყვავილებით ყოფილიყოს ფენილი თქვენი გზა!

ეროვნული ბიბლიოთეკა



საცაა გაკვეთილი დაიწყება, მაგრამ მასწავლებლის გამოჩენამდე მოთმინება როდი ყოფნის კუდრაჭა ნანა ლუარსაბიძეს. საკლასო ოთახში ჩუმად შეიპარა, როიალს თავი ახადა და... ქურდულად შეეხო კლავიშს.

## მიხოს მერანი

ერთხელ კიდევ ამოაჭენა მიხომ მერანი სოფლის ორღობეში. ერთხელაც მდინარე გადააცურა, ერთხელაც ველებს შემოუქროლა. შემდეგ ხადგომში დააყენა და ალერსით უთხრა: ხვალ სკოლაში მივდივართ.

დილით ხელპირდაბანილ, ქოჩორავარცხნილ, გაკრიალებულ მიხოს დედაენა მისცა ხელში დედამ, წალმა დაატრიალა და დაარიგა:

— ჭკუით, შვილო, იბეჯითე, მერხი განა მერანია!

ვინ არ იცნობდა მიხოს მერანს, გიშრისფერს და კრიალას, წვრილწვრილად ფაფარდაწნულს, ხან კიდევ კბილებდაკრეჭილს, ჭიხვინ-ჭიხვინით მცინარს.

— მეჰეი, ჰეი!—დასჭყივლებდა მიხო, ზურგზე მოევლებოდა, გვერდებზე შიშველ ფეხებს შემოჰკრავდა. მიჰქროდა მერანი ველად. მაშინ ჰკიოდა მიხოს დედა:—მიშველეთ, ხალხნო, მიშველეთ, შვილი დამეღუპა!

მაგრამ შვილი შინ მშვიდობით ბრუნდებოდა და მერანს ყურში უჩურჩულებდა: ისე ვიქროლოთ, ისე ვიქროლოთ სოფელი ვასახელოთო.

მუდამ ერთად იყვნენ მიხო და მერანი. ამიტომაც რჩებოდა თვალი უკან, როცა თავის თანატოლებს სკოლისაკენ მიჰყვებოდა. განა მოწყენით იჯდა მიხო მერხთან?

ჭკვიანად, ახო-ახო, მარცვალ-მარცვალ კითხულობდა. აკლებდა და უმატებდა ნაირფერ ჯოხებს ერთმანეთს. „მერხი განა მერანია?",— მოაგონდა დედის სიტყვები და მერხს დახედა.

— მერანივით შავია, შავი, კრიალა,—გაიფიქრა და მოფერებით ხელები მოუცაცუნა, იდაყვით გააპრიალა. „შენი ჭირიმე, შენი",—მიეხიყვარულა, შემდეგ წელში გაიმართა, ხელები მერხზე დაალაგა და ისე მოეჩვენა—მერხი თითქოს მერანია და მიაფრენს მიხოს წინ, წინ. ჩასჩურჩულა კიდეც: ვიქროლოთ, ისე ვიქროლოთ, სამშობლო ვასახელოთ!

თამარ ორჯონიკიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მინიატურები

ქეთევან ქუჩუკაშვილი

* * *

ფანჯარასთან ვდგევარ. შორს ხეები მოჩანს, ხეები მძლავრად ირხევიან, მაგრამ შრიალის ხმა ჩემამდე ვერ აღწევს. ბუხარში ნედლი შეშა შიშინებს და სიმარტოვეს აღარა ვგრძნობ.

დაღლილი ვარ. ღამეები არა მძინავს. ახალ მოთხრობას ვამთავრებ, მაგრამ უკმაყოფილო ვარ, რით მე თვითონაც არ ვიცი. ამ უკმაყოფილებას ათას წვრილმანს ვაბრალებ და ამიტომ კვლავ ვასწორებ. მაგიდაზე აწყვია შავები და გადაბეჭდილი პირი.



კვლავ ხეებს გავცქერი. ხეები მძლავრად ირხევიან, მაგრამ შრიალის ხმა მაინც არ მესმის. ჩემი უკანასკნელი მოთხრობაც ასეა. მე მას ვხედავ, ვხედავ, მაგრამ ხმა არ მესმის. მოთხრობა სდუმს.

«რა სისულელეა, — თავს ვიმშვიდებ. — ეს ყველაფერი იმის ბრალია, რომ დაღლილი ვარ, რომ ღამეებს თეთრად ვათენებ».

კარებთან ნაბიჯების ხმა ისმის. კარებს ვაღებ. ოთახში ჩემი მეგობარი შემოდის, იგი ბუხართან ჯდება და ხელებს ითბობს.

— რა დაღლილი სახე გაქვს, — მეუბნება და განაგრძობს, — ისე ხარ გამხდარი, რომ შენი შეხედვისა მეშინია.

მე მეცინება.

ჩვენ საუბარს ვიწყებთ. დრო ნელა გადის.

მე ვუყურებ ჩემს მეგობარს. იგი ჩემზე ბევრად უფროსია. სახის უშნო ნაკვთები აქვს, მაგრამ ჭკვიანი თვალები ამშვენებს ამ უშნო სახეს. იგი ლაპარაკობს. ყოველი სიტყვა მკაფიოდ მესმის, ყველაფერს ჭკვიანურს ამბობს. მაგრამ ახალი არაფერია. მისი სიტყვები მკვდარია, მკვდარი.

უცბად რაღაც მემართება და ჩემი მეგობრიდან ჩემს მოთხრობაზე გადამაქვს თვალი. რა აქვთ საერთო? იმ მოთხრობაშიც არაფერია ახალი, მოთხრობაც მკვდარია.

ჩემი მეგობარი თვლემს.

მე ჩუმად ვდგები და მოთხრობას ვიღებ, მერე ისევ ბუხართან მივდივარ და ცეცხლის შუქზე ფურცვლას ვიწყებ.

«ხო, მკვდარია მოთხრობა, მკვდარი», — ვბუტბუტებ ჩემთვის და ჩაღველფილ მუგუზალს ფრთხილად ვადებ დაბეჭდილი ქაღალდების დასტას. ბუხრიდან ჩამობერილი ქარი ფურცლებს შლის და ქაღალდს ნაპირებზე ცეცხლი ეკიდება. მერე დარჩენილ შავებსაც ვიღებ, მაგრამ იმას უკვე საჩქაროდ და უწესრიგოდ ვყრი ცეცხლში. ერთი წამის შემდეგ ყველაფერი ჩამწვარია. მე ვიცი, რომ ამაღამ კარგად დამეძინება.

ფანჯარასთან მივდივარ და ჩამოწოლილ ბინდში ხეებს გავცქერი.

ხეები მძლავრად ირხევიან. მე შრიალის ხმა მესმის.

## მაგნოლიის ჩრდილი

გეოლოგიურ პარტიაში ვმუშაობთ. ახალი ტრასა გაგვყავს. სამუშაო ბევრია. დილიდან საღამომდე გზაზე ვართ გაკრულები. მზემოკიდებულები, გამტვერიანებულები გვიან ვბრუნდებით. საღამოხანს ზღვის პირზე გავდივართ და იქ დიდხანს ვრჩებით.

ახლაც ზღვის პირას ვზივარ. საღამოა. აქვე ახლო მაგნოლიები დგას. დიდრონი ფოთლები ჩამავალ მზეზე ბზინავენ. ჩრდილები შორს წვებიან ქვიშიან ნაპირზე. მაგნოლიის გადაღუნული ტოტი ნაპირს სწვდება და ზღვაში იცქირება. წყლის ზედაპირზე ფოთლების ჩრდილი ტორტმანებს.

თბილი საღამოა. მე მას ველი და ბედნიერი ვარ. მე ვგრძნობ, რომ ის მოდის და მართლაც ვხედავ ქვიშიან ნაპირზე ჩემსკენ მოაბიჯებს. საცაა ჩემი ამხანაგიც გამოჩნდება. ჩვენ სამნი საღამოებს აქ ვატარებთ, ამ მაგნოლიის ძირში. დღეს მე შემთხვევით უფრო ადრე მოვედი.

— შენ უკვე აქა ხარ? — მესმის მისი ხმა და ის ქვიშაზე ჯდება. ჩამავალ მზის შუქში უფრო მომხიბვლელი მეჩვენება.

— ის ჯერ არ მოსულა? — განაგრძობს და უცბად ჩუმდება.

— ჯერ არა, — ვპასუხობ და მეც ვჩუმდები.

ორივენი ზღვას გავცქერით. ზღვასთან ერთად მე ვხედავ მის ფაქიზ ნაკვთებს. არაფერი მინდა ამ ზღვისა და მისი სახის ნაზი ხაზების ხილვის მეტი. არ ვიცი გრძნობს თუ არა, რომ მე ვუცქერი? ალბათ, გრძნობს. მაგრამ არაფერს იმჩნევს. ჩამუქებული თვალებით შორს გასცქერის ზღვას.

მესამე იგვიანებს. თუმც მე სულ არა ვგრძნობ ამას. რაც დრო გადის მისი სახის რბილი, ფაქიზი ხაზი თანდათან უფრო მკვეთრი ხდება და ახლა რაღაც სევდას გამოხატავს. მე მაინც მომწონს იგი. მინდა ვკითხო მიზეზი ამ სევდისა, მაგრამ რაღაც მაჩერებს. არ მინდა უხერხულობა ვაგრძნობინო.

რა მშვენიერია მაშინაც კი, როდესაც ასე დაღონებულია. ნეტავ, რამ დააღონა ასე? არა, უბრალოდ, მაგნოლიის ჩრდილი ეცემა და ის უმუქებს სახეს. ამიტომ მოჩანს ასე დასევდიანებული.

— დღეს ძალიან დავიგვიანე, არა? — მესმის ნაცნობი ხმა და მესამეც მოდის.

— განა დაიგვიანე? — ვეკითხები. ისიც ქვიშაზე ჯდება ჩვენთან ახლო.

ახლა სამნი გავცქერით ზღვას. დრო გადის. მე ზღვას ზურგს ვაქცევ და კვლავ მის ნაკვთებს ვხედავ. და თუმც მაგნოლიის ჩრდილი ისევ ეცემა მის სახეს, მაინც მოჩანს ბედნიერებით განათებული მისი ნაკვთები. მე ისევ ზღვისკენ ვიბრუნებ პირს.

ჩვენ სამნი ვართ, მაგრამ მე ვგრძნობ, რომ ისინი ორნი არიან. ზღვა უფრო მუქდება, ახლა იგი უცნაური მწვანე ფერისაა და აქა-იქ თეთრი ქაფი ჩნდება.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



# მოდები

მოსკოვში ჩატარდა მოდების მერვე საერთაშორისო კონგრესი. მასში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთის სამკერვალო და საფეიქრო მრეწველობის მუშაკებმა, მხატვარმა-მოდელიორებმა, ტანსაცმლის კონსტრუქტორებმა.

სურათებზე — კონგრესზე წარმოდგენილი მოდელების ნიმუშები.









წელს საქართველოში მოეწყო ბავშვთა ტანსაცმლის პირველი რესპუბლიკური კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სამკერვალო ფაბრიკებმა, მოდელების სახლმა, ადგილობრივი მრეწველობის სამკერვალო სახელოსნოებმა და ატელიებმა, თბილვაჭრობის სახელოსნოებმა და კერძო პირებმა. კონკურსზე წარმოდგენილი იყო 250 სხვადასხვა სახის ტანსაცმელი. 20-ზე მეტ მოდელს მიეკუთვნა პრემია.

აქ მოთავსებულია პრემირებული მოდელების ზოგიერთი ნიმუში.







ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდელების ავტორი — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სამხატვრო ტრესტის მთავარი კონსულტანტი ალ. ახვლედიანი.





კაბა შალის ან კრეპის ქსოვილისაგან, წელში გადაუჭრელი.



სპორტული კაბა შტაპელის ქსოვილისაგან, გაწყობილია კანტებით. ქვედაწელი—სამნაჭრიანი კლოში, ჩაჭრილი ჯიბეებით. ზედაწელის ჯიბეები გოფრირებულია.



კაბა კრეპდეშინის ან მაროკენისაგან. ქვედაწელი—ოთხნაჭრიანი კლოში.




ძველ საბერძნეთსა და რომში პატრიციები ბანაობის შემდეგ ნაირ-ნაირ სურნელოვან ზეთებს იცხებდნენ, რათა შეენარჩუნებინათ სხეულის ელასტიურობა და მიეცათ მისთვის ხავერდოვნება და სილამაზე.

ასეთ პროცედურებს საბერძნეთში «კოსმეტიკა» ეწოდებოდა, რაც გამშვენიერებას, გალამაზებას ნიშნავს.

შემდეგში კოსმეტიკა გავრცელდა აღმოსავლეთში, აქედან დასავლეთში გადავიდა და განსაკუთრებით ფართო განვითარებას საფრანგეთში მიაღწია. კოსმეტიკა ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ შეძლებული ფენებისათვის და ამდენად ის ფუფუნების საგნად ითვლებოდა.

საბჭოთა კავშირში, სადაც ყველაფერი ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას ემსახურება, კოსმეტიკა ხელმისაწვდომია მშრომელთა ფართო ფენებისათვის.

კოსმეტიკის საგანს წარმოადგენს სახის კანის მოვლა, მისი დეფექტების მოცილება და კანის ჯანსაღი, ნორმალური მდგომარეობის შენარჩუნების პროფილაქტიკა.

ყველამ იცის თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის სილამაზისათვის სახის კანს, ამიტომ ყველა ქალმა უნდა იცოდეს მისი მოვლა.

სახის კანისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სინათლეს, ჰაერსა და წყალს. სინათლე და ჰაერი აჯანსაღებს და ამაგრებს როგორც მთელ ორგანიზმს, ისე კანს. ჰაერი, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს ტენს, აპოხიერებს კანს, მშრალი ჰაერი კი ახმობს და ანაოჭებს.

მარილებით მდიდარი ე. წ. ხისტი წყალი მავნებელია, ზედმეტად აშრობს კანს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება წყლის ტემპერატურასაც; ძალიან ცივი წყალი იწვევს სისხლის უკუქცევას, ავიწროვებს სისხლის . მილებს, რის გამოც ირღვევა საოფლე და ცხიმოვანი ჯირკვლების ნორმალური მუშაობა. ცხელი წყალი ასუსტებს კუნთებს და აგრეთვე იწვევს კანის მოდუნებას და დანაოჭებას.

სახის კანის მოვლისათვის ერთნაირი წესის დადგენა შეუძლებელია. ყოველ კანს ინდივიდუალური მიდგომა ესაჭიროება.

ჟურნალის შემდეგ ნომრებში ჩვენ თანდათანობით გავაცნობთ მკითხველს როგორი მოვლა ესაჭიროება სახის კანს.

**ხ. ხარაჯიშვილი,**

თბილისის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის კოსმეტიკის კაბინეტის ბრიგადირი.

# დავამშვენოთ ჩვენი სუფრა

## ბადრიჯნის ხიზილალა

წვრილად დაჭრილი ხახვი და მწვანილი მოვხრაკოთ ზეთში ბადრიჯანი და პამიდორი გავატაროთ ხორცსაკეპ მანქანაში და ჩავყაროთ იმ ქვაბში, რომელშიც მოხრაკული ხახვი და მწვანილია. დავუმატოთ მარილი, ნიორი, წიწაკა და განვაგრძ.ოთ ხრაკვა, ვიდრე კერძი მზად არ იქნება.

მასალად საჭიროა: ბადრიჯანი—1 კგ პამიდორი—500 გრ., ხახვი—50 გრ. ზეთი—100 გრ. მწვანილი—100 გრ., მარილი, წიწაკა ნიორი—გემოვნების მიხედვით.

## ჩიხირთმა

მსუქანი ქათმის ან ცხვრის ხორცი დავჭრათ საშუალო ზომის ნაჭრებად, ჩავყაროთ ქვაბში და ვშუშოთ ნელ ცეცხლზე. როცა ხორცი მოიშუშება, დავუმატოთ წვრილად დაჭრილი ხახვი და მოვხრაკოთ შეწითლებამდე. შემდეგ მოვაყაროთ მარილი, დავასხათ იმდენი წყალი, რომ ხორცს ფარავდეს და ოთხი თითით ზედ ადგეს. ვადუღოთ, სანამ ხორცი არ დარბილდება. შესასქელებლად შეიძლება დავუმატოთ იმავე ბულიონში გახსნილი ერთი სუფრის კოვზი პურის ფქვილი, ამის შემდეგ კიდევ ვადუღოთ 5—10 წუთის განმავლობაში. ცეცხლიდან უკვე გადმოდგმულ ბულიონში ფრთხილად ჩავლესოთ 2—3 კვერცხის გულისა და 2 სუფრის კოვზი თეთრი ღვინის ძმრის კარგად ათქვეფილი ნარევი. ძალიან წვრილად დაჭრილი ქინძი მოვაყაროთ თეფშებზე დასხმულ ჩიხირთმას.

მასალად საჭიროა: ქათმის ან ბატკნის ხორცი—1 კგ ხახვი—200 გრ. კვერცხი 2—3 ცალი, ძმარი—2 სუფრის კოვზი, მარილი და ქინძი—გემოვნების მიხედვით.

## მურაბები

სამურაბედ ახალი, მწიფე და მკვრივი ხილ-კენკრა უნდა იქნეს შერჩეული. მურაბის მოხარშვა უმჯობესია თითბერის ან მომინანქრებულ ტაშტზე.

ხილის მურაბის ხარშვა უმეტეს შემთხვევაში წინასწარ მოდუღებულ სიროპში გადარჩეული ხილის ჩაწყობით იწყება. ხარშვის დროს ტაშტი ხშირად უნდა შევანძრიოთ და ზედმოდებული ქაფი კოვზით მოვხადოთ.

მურაბის დუღილი უნდა დაიწყოს ძლიერ ცეცხლზე. შემდეგ კი ცეცხლი თანდათან უნდა შევანელოთ.

მურაბა მზად იქნება მაშინ, როცა ხილი და სიროპი გამჭვირვალე გახდება, სიროპი შესქელდება და წყლიან ჭიქაში წვეთ-წვეთად ჩასხმული მძიმედ, დაუშლელად ჩაიძირება.

კარგად მოხარშულ მურაბაში ხილი სიროპში თანაბრად განაწილდება და არასოდეს ზევით არ ამოტივტივდება. გასაცივებლად მურაბა სჯობს ფაიფურის ჯამფილაში გადავასხათ. გაგრილების შემდეგ მურაბა ქილებში ჩავასხათ, თავი მოვუკრათ, მშრალ და ცივ ადგილას შევინახოთ.

## შვინდის მურაბა

შვინდის მურაბა კეთდება კურკებიანად, ვინაიდან მას კურკები ადვილად არ სცილდება. ერთ კილოგრამ შვინდზე უნდა ავიღოთ 1 კგ და 200 გრ., შაქარი და 2 ჩაის ჭიქა წყალი. ჯერ მოვადუღოთ სიროპი, ცოტა ხნის შემდეგ მასში ჩავყაროთ შვინდი და ვხარშოთ $1^1/_2$ საათს. ქაფი ხშირად უნდა მოვხადოთ.

## ღოღნოშოს მურაბა

კარგად გადარჩეული ღოღნოშო დავჩხვლიტოთ რამდენიმე ადგილას, ჩავყაროთ წინასწარ მოდუღებულ შაქრის სიროპში, მოვხარშოთ ისე, როგორც შვინდის მურაბა, მხოლოდ ხარშვის დროს ორ-სამჯერ გადმოვდგათ ცეცხლიდან, გავაციოთ და ისევ შევდგათ ცეცხლზე. ამგვარად მოხარშული ღოღნოშო არ ჩაიშლება, ნაყოფი მთელი დარჩება. შაქრის და წყლის პროპორცია ასეთი იქნება: თვითეულ კილოგრამ ხილზე 1 კგ და 300 გრ: შაქარი და $2^1/_2$ ჩაის ჭიქა წყალი. ასეთივე წესით იხარშება ჭერმის მურაბა, მხოლოდ კურკაგამოცლილი.

ნინო ხოფერია

# რა უნდა იცოდეს დიასახლისმა

## ლაქების ამოყვანა სხვადასხვა ქსოვილიდან

რძისა და ნაღების ლაქები შალის ქსოვილზე კარგად ამოიყვანება ნიშადურის სპირტის, ჭაჭის არყისა და სუფრის მარილის ნაერთით.

ტანსაცმლიდან ცხიმოვანი ლაქების ამოყვანის კარგი საშუალებაა ბენზინში აზელილი მაგნეზიის ფხვნილი. ასეთი ფაფა უნდა დავადოთ დალაქიანებულ ადგილას, ქვემოდან ამოვუდოთ სითხის შემსრუტავი ქაღალდი. ასე დავტოვოთ რამდენიმე საათს, შემდეგ გადავფერთხოთ გამშრალი ფაფა, მას თან გაჰყვება ლაქის ნაშთებიც.

ჟანგის ლაქები თეთრი ქსოვილიდან კარგად ამოიწმინდება გაცხელებული ლიმონის წვენით.

მანქანის ზეთის ლაქების ამოსაწმენდად დალაქიანებულ ადგილას უნდა დავადოთ ეთერში მოზელილი მაგნეზიის ფაფა და დავტოვოთ მანამ, სანამ ეთერი სრულებით არ აქროლდება. მაგნეზიის დარჩენილი ფხვნილი გადავფერთხოთ, მას თან გაჰყვება ზეთოვანი ლაქა.

ნაძვისა და ფიჭვის ფისის ლაქები კარგად ამოიწმინდება სპირტისა და ეთერის ნარევით.

## ფეხსაცმლის გაწმენდა

ლაქის ფეხსაცმლის გაწმენდა სჯობს რძის ნაღებით ან კარაქის თხელი ფენის წასმით. ლაქის ფეხსაცმელი არ შეიძლება დავდოთ ცხელი ღუმელის ახლოს, ან მზეზე.

ზამშის ფეხსაცმელი იწმინდება საშლელი რეზინით ან სპეციალური რეზინის ჯაგრისით. შეიძლება აგრეთვე ზამშს მოვაყაროთ დანაყილი სუფრის მარილი და ამოვწმინდოთ პურის გულით. ცხიმოვანი ლაქები ზამშზე ამოიწმინდება ბენზინში დასველებული ფანელის ნაჭრით.

ტილოს ფეხსაცმელი ბენზინში დასველებული ბამბით გასუფთავების შემდეგ უნდა გაიწმინდოს კბილის ფხვნილის ხსნარით, ან სპეციალური ემულსიით, რომელიც იყიდება ამ დანიშნულებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი—თეო აბაშმაძე: სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.

Общественно-Политический иллюстрированный журнал „САБЧОТА КАЛИ". | ფასი 3 მან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პ/კ. „კომუნისტი", ლენინის ქუჩა № 14.
გადაეცა წარმოებას 15/VIII, ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/XI, ქაღ. ზომა 60×92, შეკვ. № 986. ტირაჟი 10.000. უე 03109.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჰაერში ქანაობაც კარგია,



სილაში გვირაბების გაყვანაც,



ცხენებზე ამხედრებაც. მაგრამ...



ბათუმის პიონერთა პარკში მოლივლივე ტბაზე სეირნობას რაღა შეედრება!

ნ 71/173
ეროვნული ბიბლიოთეკა
